პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 აგვისტო, სამშაბათი, 1987 წ.
№ 160 (9571) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

20 აგვისტოდან

თბილისის სპორტის სასახლეში



ჩატარდება სსრ კავშირის თასის გათამაშება და ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში

20 აგვისტოს შეჯიბრება დაიწყება 17 საათზე, 18 ს. და 30 წ. ასპარეზობის საზეიმო გახსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთი „ოქრო“ და ერთი „ბრინჯაო“

შაბათს და კვირას ტალინის კორტებზე გამოვლინდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები ყველა თანრიგში. ჩვენი ყურადღება, ბუნებრივია, საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლებისადმი იყო მიპყრობილი. ვაჟთა წყვილების ნახევარფინალში თბილისელმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ და მოსკოველმა ანდრეი ოლხოვსკიმ დაამარცხეს კიეველთა — სერგეი გრიმალსკისა და იური ფილევის დუეტი. ეს იყო მეტად მძაფრი და დაძაბული ორთაბრძოლა. პირველი პარტია უკრაინელმა ჩოგბურთელებმა მოიგეს — 6:3, მეორე კი ასეთივე ანგარიშით დამთავრდა. მესამე პარტიაში ისევ კიეველები დაწინაურდნენ (6:2), მაგრამ მეოთხეში ანგარიში გათანაბრდა—6:4. შეხვედრის ბედი მეხუთე პარტიაში გადაწყდა. გაბრიჩიძემ და ოლხოვსკიმ ზუსტი თამაშით ბოლოს და ბოლოს საწადელს მიაღწიეს — 6:3, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, ალექსანდრე ზვერევმა (მოსკოვი) და ალექსანდრე ვოლკოვმა (კალინინგრადი).

გადამწყვეტი შეხვედრა უფრო მშვიდი და უკონფლიქტო გამოდგა, პირველი პარტია ზვერევმა და ვოლკოვმა შედარებით ადვილად დამთავრეს — 2:6, სამაგიეროდ მეორეში უფრო აქტიურად ითამაშეს და გაიმარჯვეს 6:3. მესამე გადამწყვეტი პარტია კლასიკური ჩოგბურთის კანონებით ვითარდებოდა — მეტოქეები ქულებს უმთავრესად თავის მოწოდებებზე იგებდნენ. მაგრამ პარტიის მიწურულს გაბრიჩიძემ და ოლხოვსკიმ ხელთ იგდეს ინიციატივა და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწიეს — 7:5. ამ წარმატებამ თბილისელ და მოსკოველ ჩოგბურთელებს ოქროს მედლები მოუტანა. ბრინჯაოს ჯილდო აქ გრიმალსკისა და ფილევს ხვდათ.

საქართველოს ჩოგბურთელთაგან ერთი მედალი (ბრინჯაოსი) ლეილა მესხმაც მოიპოვა. მან მოსკოველ იულია სალნიკოვასთან ერთად წყვილთა თამაშში მესამე ადგილი დაიკავა. ჩემპიონის სახელი კი მოსკოველმა სვეტლანა პარხომენკომ და ლვოველმა ლარისა სავჩენკომ დაისაკუთრეს, რომლებმაც ფინალში (6:3, 6:3) ევგენია მანიუკოვა (მოსკოვი) და აიდა ხალათიანი (ერევანი) დაამარცხეს.

ერთეულების თანრიგში შარშანდელმა ჩემპიონებმა ნატალია ზვერევამ (მინსკი) და ანდრეი ჩესნოკოვმა (მოსკოვი) შეინარჩუნეს ტიტულები. ზვერევამ ფინალში შედარებით იოლად დაამარცხა მოსკოველი ვიქტორია მილვიდსკაია— 6:1, 6:2, ჩესნოკოვმა კი თანაქალაქელ ზვერევას აჯობა — 6:7, 6:4, 6:0. ქალთა შორის ბრინჯაოს მედალი მოსკოველმა ნატალია ბიკოვამ მოიპოვა, ვაჟებში — ტალინელმა ანდრეს ვისანდმა.

ნატალია ზვერევამ ამ ჩემპიონატში მეორე ოქროს მედალიც მიიღო. ანდრეს ვისანდთან წყვილში მან ნატალია ბიკოვა (მოსკოვი) — ანდრეი ოლხოვსკის შერეული დუეტი დაამარცხა — 6:2, 3:6, 6:3. ბრინჯაოს ჯილდოს აქ კიეველები ნატალია მედვედევა და სერგეი ბაკაია დაეუფლნენ.



ᲩᲔᲚᲔᲑᲘᲡᲘ-ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲚᲘ

● **შეკეშფეხერვარი (უნგრეთი).** დამთავრდა 15 წლამდე ჭაბუკ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატი. ფინალში იუგოსლავიის ნაკრებმა იტალიელები დაამარცხა — 83:77 (41:39). ბრინჯაოს მედლები საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ წილად, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში ესპანელებს აჯობეს — 84:76 (40:39).

● **პერტე (ავსტრალია).** აქ სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი. პირველი შეხვედრა ავსტრალიის ნაკრებთან სტუმრებმა 14 ქულით — 99:85 (52:46) მოიგეს, საბჭოთა ნაკრებში ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო შარუნას მარჩიულენისი, რომელმაც გუნდს 27 ქულა შესძინა. საბჭოთა კალათბურთელები შორეულ ავსტრალიაში კიდევ ხუთ მატჩს გამართავენ: ადელაიდაში, კანბერაში, ბრისბენში, სიდნეისა და მელბურნში.

● **ლენინგრადი.** აქ „კომსომოლსკოეს“ ტბაზე ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი „0-500“ კლასის სკუტერებზე. გამარჯვება მოიპოვა 32 წლის ლენინგრადელმა ალექსეი იშუტინმა, რომელიც ფინიშთან სამჯერ პირველი იყო. გუნდური ადგილები განაწილდა ასე: სსრ კავშირი — 2200 ქულა, ბულგარეთი — 715 ქულა, უნგრეთი — 637 ქულა.

ოსტატი ამარცხებს დიდოსტატებს

პავლოდარში მიმდინარეობს სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 55-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. (შვეიცარიული სისტემა, 11 ტური) საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობენ დიდოსტატი გენადი ზაიჩიკი და ახალგაზრდა ოსტატი ლაშა ჯანჯღავა. 5 ტურის შემდეგ 4 ქულით დაწინაურდა საერთაშორისო ოსტატი იგორ ნოვიკოვი. შემდეგ მოდიან ზაიჩიკი, მენიშევი და კამსკი — 3,5-3,5 ქულა. ჯანჯღავას 3 ქულა აქვს. აღსანიშნავია, რომ ლაშამ დაამარცხა დიდოსტატები არშაკ პეტროსიანი და სერგეი მიხალჩიშინი. შეჯიბრებაში მონაწილეობს 8 დიდოსტატი და 7 საერთაშორისო ოსტატი.

სსრ კავშირის თასზე გასულ შაბათს თბილისის „დინამომ“ ლენინგრადის „ზენიტს“ უმასპინძლა. ერთადერთი ბურთი ამ მატჩში 11-მეტრიანი დარტყმიდან გაიტანა რამაზ შენგელიამ. (იხ. მე-3 გვ).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ბესიკ გოცირიძე— 20, 59!

საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა თასის გათამაშების ნახევარფინალი, თითქოს ჩვეულებრივი, რიგითი შეჯიბრება, ერთი გარემოების წყალობით მაღალი რანგის ტურნირად იქცა: საკავშირო ნაკრების მწვრთნელთა გადაწყვეტილებით მასში მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის მთავარი გუნდის წევრებმა, რომლებიც მალე რომის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად უნდა გაემგზავრონ.

საუცხოო სპორტულ ფორმაში მყოფ სპორტსმენთა გამოსვლამ, ცხადია, ინტერესი შემატა ტურნირს და მსაჯებმა მოსკოვში, ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე მაღალი შედეგები აღნუსხეს. ამ შედეგებს შორის, ყურადღებას იქცევს (ამაში მძლეოსნობაში ჩახედულნი დაგვეთანხმებიან) ქართველი სპორტსმენის ბესიკ გოცირიძის მიღწევა, რომელიც მან 200-მეტრიან დისტანციაზე აჩვენა. 20,59 — აი, ასეთია ამჯერად საქართველოს ახალი რეკორდი. ეს მართლაც საერთაშორისო კლასის შედეგია, გოცირიძეს ადრეც გაუმარჯვია ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენებთან ბრძოლაში, მაგრამ ასეთი მაღალი შედეგი პირველად აჩვენა. მაგალითისთვის ვიტყვით, რომ ვლადიმერ კრილოვმა შტუტგარტში ევროპის 1986 წლის ჩემპიონობა დაახლოებით იგივე შედეგით (20,52) მოიგო. ისიც საყურადღებოა, რომ მწვრთნელ ევგენი გაგუას მოწაფემ რესპუბლიკის ძველ მიღწევას, რომელიც მასვე ეკუთვნოდა, ერთბაშად 0,3 წამი ჩამოაკლო. გოცირიძემ ამ გამარჯვებით მისი რომში გამოსვლის პერსპექტივის შესახებ არსებული ყოველგვარი ეჭვი გაფანტა.

ქალთა 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ნატალია გერმანმა (ხარკოვი) — 11,40, ოთხასმეტრიან დისტანციაზე — მისმა თანაგუნდელმა ლუდმილა ჟიგალოვამ — 51,62.

სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა სერგეი მალჩენკომ — 230 სმ, ქალებში—ოდესელმა ლუდმილა ავდეევამ — 195 სმ.

კარგი შედეგები ჰქონდათ მინსკელ ელენა ბელევსკაიას სიგრძეზე ხტომაში — 731 სმ და ლენინგრადელ ვიაჩესლავ ბორდუკოვს სამხტომში — 17,38 მ. მან ევროპის ექსრეკორდსმენი ოლეგ პროკენკოც კი დაამარცხა (17,33). 5 კილომეტრზე რბენა მოიგო ვალერი აბრამოვმა (მოსკოვის ოლქი) — 13.38,5.

გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს მოსკოვის ოლქისა და ლენინგრადის არმიელთა კოლექტივებმა.

მხოლოდ ორი ქულით

თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა „დინამოს“ კალათბურთელთა ცენტრალური საბჭოს პირველობის მორიგი ტურის მატჩები. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა თბილისისა და ფრუნზეს გუნდების შეხვედრა. პირველი ტაიმი სტუმრებმა 8 ქულით მოიგეს — 44:36. შესვენების შემდეგ თბილისელებმა გააძლიერეს შეტევები და მატჩის მიწურულს წარმატებასაც მიაღწიეს — 95:93.

გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს მოსკოვის კოლექტივი, რომელსაც ჯერ მარცხი არ განუცდია. მორიგ ტურში დედაქალაქის კალათბურთელებმა ჩელიაბინსკელი თანაკლუბელები დაამარცხეს, თანაც დიდი ანგარიშით — 139:61 (74:39).

გუშინ გაიმართა დასკვნითი ტურის მატჩები.

ევროპის ჩემპიონატზე

სტრასბურგი. დაიწყო ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სპორტის სახეობებში. წყალბურთელთა ტურნირის პირველი მატჩები ასე დამთავრდა: სსრ კავშირი — ესპანეთი 13:6, იტალია — რუმინეთი 7:4, იუგოსლავია — უნგრეთი 9:7, გფრ — ბულგარეთი 11:5, პოლონეთი — ჰოლანდია 8:7.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი

ქართველ სპორტსმენთა გალერეა ილიასეულ პრესაში

4. ნესტორ ესებუა

„კვირას, 31 აგვისტოს იტალიის ბაღში ჭიდაობა გაიმართა. ამ ჭიდაობას ბევრი ხალხი დაესწრო. შემოსავლის ერთი ნაწილი წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ იყო გადადებული, ჯერ, როგორც ყოველთვის არის ხოლმე, აჭიდავეს პატარები და შემდეგ კი ჯერი გლდანელსა და მის მოწინააღმდეგეზე მიდგა... გლდანელს მას შემდეგ, რაც ჭიდაობის ორმოცამდე კაცი გაუხანავს, ორმოცამდესთან უჭიდავია, მაგრამ ჯერ ესებუასთანა მოჭიდავე არ გამოსჩენია“.

„ივერია“, 1886, 2/IX, № 188, გვ. 2.

„...როგორც დახელოვნებული, გაწვრთნილი და გათამამებული მოჭიდავე გლდანელი ბევრად უფრო მაღლა სდგას ესებუაზე, მაგრამ სიმარდე და მოხდენილობა, თითქმის რაინდული ქცევა, ახალგაზრდა ესებუას მეტი აქვს... როდესაც გავარჯიშდება ჭიდაობაში, მაგასთან გლდანელი ვეღარ მოვა, ხალხის გულსაც ადვილად მოიგებს. მხოლოდ ამას კი ვურჩევთ ესებუას, და აგრეთვე სხვა მოჭიდავე ქართველებსაც, რომ ნუ შებღალავენ მამაპაპურ ჩვეულებას, ვაჟკაცობით ვაჭრობა ზნეობით ბინძურობაა... იჭიდაონ უსასყიდლოდ და მხოლოდ საჩუქარს დასჯერდნენ ხოლმე და თუ მაინცა და მაინც არა, საწყალ ღარიბ მუშა ხალხს დიდ-ქირას ნუ აართმევენ“.

„ივერია, 1886, 6/IX, № 192, გვ. 2.

„ამ თვის პირველს ჭიდაობა იყო გამართული თეატრში. მოჭიდავენი იყვნენ ორი ფალავანი — მეგრელი ესებუა და რაჭველი ქვათაძე. ამ ორს ფალავანს თავიანთი ღონე ნაცადი აქვს გლდანელთან. ჯობნით რომელმა აჯობა, ძნელი სათქმელია. ფალავნების მომხრეების შუა ასტყდა დიდი ჩხუბი, ხანჯლებით დაერივნენ ერთმანეთს, რამდენიმე კაცი დაიჭრა, და ერთი მათგანი — ამბობენ — სასიკვდილოდ არის დაჭრილიო. გასაკვირველია ჩვენი საქციელი: ამ გვარის მოქმედებით ერთიანად ამოვფხვრით ამ სასიამოვნო და სასარგებლო სახალხო დროს გატარებას“.

„დროება“, 1885, № 118, 6/VI. გვ. 2.

„ქუთაისი აღარასფერში არ ჩამოუდგება უკან საქართველოს საუტახტო თბილისის ქალაქს, ქალაქელებს ერთი გლდანელი გყვანდათ ამაყობის საგნად, სამაგიეროდ ჩვენც გამოგვიჩნდა ფალავანი, რომელიც გლდანელისთანას სამს შეჭკრავს და შეუბოჭავს. ვერც მოყვანილობით და შეხედულებით შეედრება გლდანელი მას. ეს გახლავთ ნესტორ ესებუა — მეგრელი, გამოგვიგზავნეთ თქვენი გლდანელი და დაგმტკიცებთ, რომ ღიმი სრულებითაც არ არის საცინლად ასაგდები საჭმელი. ხუმრობა კი არ გეგონოსთ. ხმა გავარდნილა: „ესებუამ ბათუმში დაამარცხა გამოჩენილი გლდანელიო. ეხლა ამ უკანასკნელს ითხოვენ ქუთაისში ესებუასთან საჭიდაოდ, მაგრამ ვერ ჰბედავსო!“ მოგეხსენებათ, ეს ნახევარი წელიწადია უცდის ქუთაისში გლდანელს მეორე მოჭიდავე — რაჭველი ქვათაძე. გავთავდით ის-ის იყო ლოდინით და ბოლოს განვიზრახეთ ამ ორი ფალავნის დაჭიდება. ჭიდაობის გამართვა ითავა ნახევარი შემოსავლის ჯილდოთი თ. ვ. წ-მა. ამ საქმეში ეს თავადი გამოცდილია, გაიმართა ჭიდაობა ხარაზოვისეულ თეატრში. ხალხის ტევა აღარ იყო, ისე მოასაკდნენ თეატრს. მშვენიერი სანახავი იყო ცხრამეტის წლის ესებუა, საკმაოდ დავაჟკაცებული და დარულებული, მაღალი, სქელი მხარბეჭით და გასაოცარის მკერდით (ეს რა მაგის პასუხია და ბევრს ქალს კი დარჩა მასზე თვალი). პირველად ესებუა გამოვიდა; არა ნაკლების შნოთი გამოხტა სცენაზე ხანში შესული ქვათაძე, — წითელი დარაიის პერანგში და ამგვარსავე შარვალში; ზევით მას შავი ჩოხა ეცვა. ესებუა კი თეთრად და უბრალოდ იყო გამოწყობილი. ქვათაძემ ჩამოუარა ზურნის ხმაზე ლეკური. პირველად შეუტია ესებუამ. დაეჯახნენ ერთმანეთს ვეფხვ-ლომივით, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ბრძოლა. შევარდენის სისწრაფით ესებუამ დაჭერიბა მოპირდაპირე და დაანარცხა იატაკზე. ამ დროს ხალხი ვეღარ შეაკავა ბაწრებმა, რომელნიც ჰყოფდნენ მათ მოჭიდავეებისაგან. გადახტენ, აირდაირიენ, მიესხენ მოჭიდავეებს და ატყდა გაურჩეველი კრივი, ამ უწესობის მიზეზი მეგრელები იყვნენ. მივიდა იარაღამდის საქმე. „ჩვენ გავიმარჯვეთ, ვცემეთ იმერლებსო!“ გაჰკიოდნენ მეგრელები. ცუდია ეს გრძნობა. შემიძლია თამამად მოგახსენოთ, ამ შემთხვევაში იმერლები სრულებით ამითვე არ ხელმძღვანელობდნენ: ჩვენ ვხედავდით ორს მოჭიდავეს, ორივეს ქართველს და უმრავლესობის სიმპატია იყო ესებუასკენ, როგორც უფრო ახალგაზრდისაკენ. ორი მეგრელი დაიჭრა მძიმედ და ერთი იმერელი თ. ა. ე-ვი, ეს ამბავი მოხდა შაბათს, ივნისის პირველს“.

„დროება“, 1885, № 119, 7/VI, გვ. 2-3.

„აბასთუმანი, ...19 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზედ, დიდი სიმრავლე მოაწყდა. დაიკრა მუსიკა და გაჩნდა ჭიდაობა ახალციხელ ყმაწვილ კაცებისგან რიგ-რიგად ხან მესხები და ხან სომხები იმარჯვებდნენ. 6 1/2 საათზედ კი ნამდვილი გმირები გამოვიდნენ, დატრიალდნენ სწორედ გმირულად ბ-ნ ალელოვის სასტუმროს ეზოში, ამათ ნავარდზედ ბევრს მამაკაცსა და დედაკაცს გული აუძგერდა. გულ-მომწყვარობით გამოსარჩლება მოინდომეს ფალავნებისა, მაგრამ პირველ შეყრისავე ბ-ნმა ნ. ესებუამ აღარ დააცადა რა ბ-ნს ჰაჯიბამ გულიკოვს, მისცა თვალის დახამხამებაში სარმა თუ არა, მაშინვე ბრაგვა მოადენინა დედამიწაზე. გაჩნდა საშინელი გრიალი და ტაშის კვრა იმერელ-ქართველობაში. გამარჯვების მუსიკა დაიკრა და გამარჯვებული ბ-ნი ნ. ესებუა დატრიალდა და მშვენიერის ლეკურით ასიამოვნა მაყურებელნი. თუმცა ბ-ნმა ნ. ესებუამ სხვანიც გამოიოხოვა საჭიდაოდ, მაგრამ აღარავინ გაბედა. ყველას გული გაუტყდა“.

„ივერია“, 1888, 8/VII, № 160, გვ. 2.

მოჭიდავეს ნ. ესებუას ცალკე საჭიდაო გაუმართავს მუშტაიდის ახლოს ბაღში. ამ ბაღს ჰქვიან „სამეგრელოს ბაღი“ და იმყოფება ობსერვატორიის პირდაპირ, მიხეილის ქუჩაზე, აი აქ აპირობს გლდანელის ძლიერი მოპირდაპირე ფალავანი ჰმართოს ყოველ კვირას ჭიდაობა და გაართოს ჩვენი საზოგადოება, რომელიც ისეთის ხალისითა და სიამოვნებით ეტანება ამისთანა საერთო გართობას. ნ. ესებუა, სხვათა შორის, ხვალ შუადღის უკანაც აპირებს ჭიდაობას.

„ივერია“, 1889, 14/X, № 218, გვ. 2.

მასალა მოამზადა **ა. ციგაძემ.**

ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

მაიაკოვსკი

საჭადრაკო კლუბი „მაია“ ერთ კვირას მასპინძლობდა რესპუბლიკურ ტურნირს ჭადრაკში „მაიაკოვსკი-87“, შეჯიბრებაში, რომელიც ეძღვნებოდა მაიაკოვსკის დაბადების 93-ე წლისთავსა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა, მონაწილეობდნენ ფულუკიძის, სამტრედიის, ოჩამჩირის, ქუთაისისა და მაიაკოვსკის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდები (სულ 12 კოლექტივი). გუნდური I ადგილი ფულუკიძელმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს. მეორე იყო ქუთაისის ნაკრები, III-IV ადგილები გაიყვეს მაიაკოვსკელმა და ოჩამჩირელმა მოჭადრაკეებმა.

აკაკი კიკნაველიძე.

ზესტაფონი

კომკავშირის რაიკომისა და სახალხო განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის თაოსნობით მოეწყო შეჯიბრება კალათბურთში საბჭოთა კავშირის გმირის სერგო კეთილაძის სახელობის გარდამავალ თასზე.

საასპარეზოდ შეიკრიბნენ ქ. ზესტაფონის საშუალო სკოლების ჭაბუკთა გუნდები.

შეჯიბრებაში, რომელიც ოლიმპიური სისტემით ჩატარდა, გაიმარჯვა და საბჭოთა კავშირის გმირის თასი დაისაკუთრა ქ. ზესტაფონის № 1 საშუალო სკოლის (ფიზკულტურის მასწავლებელი ბ. მაჩიტიძე) კალათბურთელთა გუნდმა.

აქვე საბჭოთა კავშირის გმირის ალექსანდრე ბებილაშვილის სახელობის გარდამავალი თასისთვის მინიფეხბურთში ერთმანეთს შეეჯიბრა ქ. ზესტაფონის საშუალო სკოლების 8 გუნდი. გამარჯვება და თასი წილად ხვდათ № 2 საშუალო სკოლის მოსწავლეებს.

„ლელოს“ კორ.

ასპინძა

რაიონში ხშირად ტარდება შეჯიბრებები ფეხბურთში. სარაიონო პირველობაში „ტყვიის ბურთის“ პრიზზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა, 10-11, 12-13, 14-15 და 16-17 წლის ჭაბუკები მონაწილეობდნენ. უმცროს ასაკში ყველას აჯობეს სოფელ დამალის წარმომადგენლებმა, საშუალო ასაკში (12-13 წლიანები და 14-15 წლიანები) შესაბამისად გაიმარჯვეს სოფელ ტოლოშისა და დაბა ასპინძის გუნდებმა. უფროს ასაკში უძლიერესი იყო სოფელ ნაჭალაქევის კოლექტივი.

დათო ზედგენიძე.

„ლელოს“ კორ.

21 ● 3 კვარცხლბეკი

სამგო

35 კგ. 1. ს. გოლოვინი (რსფსრ), 2. ვ. სუხანოვი („დინამო“), 3. ა. ლევჩენკო (პროფკავშირები-II), უ. სულთანოვი (პროფკავშირები-I)... 5. გ. რუსეიშვილი (საქართველო)... 8. ზ. ხერკელაძე („უროჟაი“, დუშეთი).

38 კგ. 1. ბ. ჯანიაშვილი (საქართველო), 2. ხ. ბისულთანოვი („უროჟაი“), 3. ი. კადარი (საბჭოთა არმია), რ. ზაგიდულინი (რსფსრ).

41 კგ. ა. პარამონოვი (რსფსრ), 2. ვ. ვოსკანიანი (სამხრეთი ზონა), 3. მ. პაპენკო (პროფკავშირები-II), ა. არხიპოვი (პროფკავშირები-I)... 5. მ. მელაძე (საქართველო).

44 კგ. 1. რ. კიმი (სამხრეთი ზონა), 2. მ. კურდღელაშვილი (საქართველო), 3. ი. სენატოროვი (პროფკავშირები-I), ო. საბადაში („დინამო“).

47 კგ. 1. ზ. შარიპოვი („უროჟაი“), 2. ს. ერმოლენკო (დასავლეთი ზონა), 3. ა. იაკოვლევი (პროფკავშირები-II), ბ. ხოჯაყულიევი („დინამო“)... 8. მ. ტეტუნაშვილი (საქართველო).

50 კგ. 1. ო. ვასიუკოვი („დინამო“), 2. ო. დვორშენკო (პროფკავშირები-II), 3. მ. თურქია (საქართველო), ჯ. ნაგუჩევი (პროფკავშირები-I).

53 კგ. 1. ზ. მამუკელაშვილი (საქართველო), 2. ვ. მელნიკოვი (პროფკავშირები-II), 3. ს. დვორშენკო (პროფკავშირები-I) და ხ. კარიმოვი (სამხრეთი ზონა)... 5. ბ. ბუჩოშვილი („უროჟაი“, საგარეჯო).

56 კგ. 1. ა. როდიონოვი (რსფსრ), 2. ა. დმიტრიენკო (პროფკავშირები-II), 3. ვ. ოშეროვი („დინამო“), შ. ხამზატხანოვი („უროჟაი“)... 7. ლ. ქურასბედიანი (საქართველო).

59 კგ. 1. ა. ფროსტი (პროფკავშირები-II), 2. მ. სუკასიანი (საქართველო), 3. მ. ტოტიკაშვილი („უროჟაი“, გარდაბანი), ს. კულიკოვი (დასავლეთი ზონა).

62 კგ. 1. ა. ფროლოვი (პროფკავშირები-I), 2. ი. კურინოი (რსფსრ) 3. ს. აბდულაევი (პროფკავშირები-II), გ. პოსტიკა (დასავლეთი ზონა)... 5. ა. ბიძინაშვილი („დინამო“, თბილისი)... 8. ბ. ერაშვილი (საქართველო).

65 კგ. 1. დ. აკოფიანი („დინამო“, სოხუმი), 2. ო. ბაბანინი (დასავლეთი ზონა), 3. ა. ლებედევი (რსფსრ), ა. ჩატიანი (პროფკავშირები-I)... ნ. გაგნიაშვილი („უროჟაი“, საგარეჯო), 9. ზ. ხინჩიკაშვილი (საქართველო).

68 კგ. 1. კ. ბონდიკოვი (პროფკავშირები-I), 2. დ. ონიშჩენკო (პროფკავშირები-II), 3. ა. თანდიაშვილი (საქართველო), ი. მუდრაკი (უკრაინა)... 5. ე. მარტიროსიანი („დინამო“, სოხუმი).

71 კგ. 1. ფ. ყვავილაშვილი (საქართველო), 2. ს. იგნატოვი (სამხრეთი ზონა), 3. ა. ნოვიკი (დასავლეთი ზონა), ვ. იგოშინი (პროფკავშირები-I)... 9. ბ. ქურასბედიანი („უროჟაი“, ლენტეხი).

74 კგ. 1. ი. პარასკევოპულო (რსფსრ), 2. დ. ბედიანაშვილი (საქართველო), 3. კ. ჩეტვერიკოვი (უკრაინა), კ. ლახტიონოვი (პროფკავშირები-I)... 5. ი. რაზმაძე („უროჟაი“, თელავი).

77 კგ. 1. ა. საზონოვი (პროფკავშირები-I), 2. ა. კარიაკინი (საბჭოთა არმია), 3. ბ. ტუხტაევი (სამხრეთი ზონა), რ. ტერიოხინი (პროფკავშირები-II)... 5. გ. გავარდაშვილი (საქართველო).

+77 კგ. 1. რ. სტოლბოვოი („დინამო“); 2. ს. სუვოროვი (რსფსრ), 3. ო. მატვეევი (პროფკავშირები-I), მ. სავაროვსკი (სამხრეთი ზონა)... 5. გ. ხურციძე (საქართველო)... 7. ბ. ბასხოლიანი („უროჟაი“, თელავი).

გუნდური შედეგები: 1. პროფკავშირები-I — 154 ქულა, 2. რსფსრ — 146, 3. პროფკავშირები-II — 132, საქართველო — 130.

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები



პიონერული ზაფხული—87

ისვენებენ, ვარჯიშობენ, კაჟდებიან

თიანეთელები ყველაფერს აკეთებენ ნორჩ აკრობატთა დასვენებისა და სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებისათვის.

მეთორმეტე წელია თიანეთის სკოლა-ინტერნატში ატარებენ ზაფხულის არდადეგებს აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელები (წელს აქ 300 მოსწავლე ისვენებს). სპორტსმენთა განკარგულებაშია ექვს ჰექტარზე გადაჭიმული სპორტული კომპლექსი და ქალაქის ორი სპორტული დარბაზი. ერთი სიტყვით, აკრობატებს ყველა პირობა აქვთ დასვენებისა და ვარჯიშისათვის.

ბანაკის დირექტორმა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა მიხეილ გეგელიამ მადლიერების გრძნობით მოიხსენია რაიონის პარტიული ხელმძღვანელები, განათლების განყოფილების და ინტერნატის თანამშრომლები იმ ყურადღებისათვის, რასაც ისინი ბავშვებისადმი იჩენენ. არ ყოფილა შემთხვევა, ჩვენს თხოვნას გულგრილად მოკიდებოდნენ, — გვითხრა მიხეილ გეგელიამ და დასძინა: თიანეთელთა დამსახურებაცაა ის, რომ ჩვენს სკოლაში 7 მსოფლიო ჩემპიონი აღიზარდა: 5 აკრობატიკაში და 2 მხატვრულ ტანვარჯიშში.

წელს საქართველოს ყველა ნაკრებმა თიანეთში მოიყარა თავი. აკრობატებს ძირითადად საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ავარჯიშებენ. დღის რეჟიმი ისეა შედგენილი, რომ სპორტსმენები სპორტის ამ სახეობაშიც დაოსტატდნენ და არც მოიწყინონ. ისინი დღეში ორჯერ ვარჯიშობენ, შემდეგ ისვენებენ — იმართება დისკუტეკა, კონცერტი საკუთარი ძალებით. გარდა ამისა, სპორტსმენები თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებს ეხმარებიან თივის დამზადებაში, აწყობენ ექსკურსიებს. უკვე იყვნენ იორისა და ქუსნოს ხეობებში, ლაშარის გორზე. გაეცნენ ისტორიულ ძეგლებს, ეწვივნენ მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმს.

სპორტსმენთა საერთო ფიზიკურ მომზადებას ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის დოცენტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვალერი ვაშაკიძე ხელმძღვანელობს.

— სპორტსმენებმა საერთო ფიზიკურ მომზადებაში ახალი ნორმატივები ჩააბარეს, — გვითხრა ვალერი ვაშაკიძემ. ამ ნორმატივებში სჭარბობს მძლეოსნური ელემენტები, რაც მათ სისწრაფისა და კოორდინაციის გამომუშავებაში დაეხმარება.

თიანეთის სკოლა-ინტერნატში აკრობატებთან ერთად მხატვრული ტანვარჯიშის რესპუბლიკური სკოლის ორი ჯგუფი ვარჯიშობს.

ჯემალ კასრაძე,

„ლელოს“ სპეც. კორ.

თიანეთი.



სურათებზე: ბანაკის ერთი დღე.

სსრ კავშირის თასი

15 აგვისტოს გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის 1987-1988 წლების თასის ხაპასუხო მერვედფინალური მატჩები.

„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 1:0 (0:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 15 აგვისტო.

„დინამო“: გაბელია, ფირცხალავა, ჩიკაძე, ჭედია, ცვეიბა, კაკილაშვილი (გურული, 46), სვანაძე, სულაქველიძე, აჯოევი (რევიშვილი, 87), ყვანია, შენგელია (კორლალიძე, 86).

„ზენიტი“: ბირიუკოვი, კუზნეცოვი, სტეპანოვი, ტიმოფეევი, აფანასიევი, ვორობიოვი (დმიტრიევი, 86), დოლგოპოლოვი, სალენკო (კანიშევი, 30, ივანოვი, 77), ჩუხლოვი, ბარანეკი, კლემენტიევი.

მსაჯი ვ. აბგოლცი (ალმა-ათა).

ჯერ გააფრთხილეს, მერე კი მინდვრიდან გააძევეს დმიტრიევი.

საკავშირო თასის მერვედფინალში წილისყრამ დააწყვილა უმაღლესი ლიგის ორი გუნდი, რომლებიც წლევანდელ სეზონში აშკარა კრიზისს განიცდიან. საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი თბილისის „დინამო“ მთელი სეზონია უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, იგივე დღეგომარეობაშია ლენინგრადის „ზენიტიც“, ეს გუნდი კი სულ ახლახან, 1984 წელს, სსრ კავშირის ჩემპიონი იყო. ძნელად ასახსნელი და გაუგებარიცაა უმაღლესი ლიგის უძველეს ბინადართა ეს ჩავარდნა, ყოველ შემთხვევაში, ლენინგრადელთა ასეთი რეგრესი წლევანდელ სეზონში რთული გასაშიფრავია: „ზენიტის“ შემადგენლობაში ახლაც გამოდიან მაღალი კლასის ოსტატები ბირიუკოვი, სტეპანოვი, ვორობიოვი, დოლგოპოლოვი, ჩუხლოვი, კლემენტიევი, დმიტრიევი და სხვანი, გუნდი კი სატურნირო ცხრილის ბოლოში იმყოფება.

რახან „ზენიტმა“ თასის გათამაშებაში მერვედფინალს მიაღწია, ცხადია, მისთვის ახლა მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორედ ამ შეჯიბრებას, ამიტომაც ლენინგრადელებს მთელი თავიანთი შესაძლებლობით უნდა ეთამაშათ მეოთხედფინალის საგზურის მოსაპოვებლად. მაგრამ, რამდენიც არ ვუთვალთვალეთ, მაყურებლებმა მინდორზე ვერ ვიხილეთ ის „ზენიტი“, რომელიც ასე ძლიერად თამაშობდა ბოლო წლებში და ჩემპიონობასაც კი მიაღწია. იგი ახლა სრულიად სხვა სახით წარმოგვიდგა, ზენიტელთა შორის რაღაც აპათია, აშკარა შეუთანხმებლობაც იგრძნობოდა და უწინ ნაქები შეუპოვარი ბრძოლისუნარიანობის სრული დეფიციტიც. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ასეთი თამაშით „ზენიტი“ საკავშირო ჩემპიონატში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფება.

მაგრამ რა გვაჩვენეს თბილისის დინამოელებმა ამ აშკარად დაძაბუნებულ მეტოქესთან შეხვედრაში? რა შთაბეჭდილება დატოვეს მაყურებელზე, რომელიც თვიდან თვემდე, ტურიდან ტურამდე ელის ჩვენი გუნდის თამაშის გაუმჯობესებას?

უსამართლობა იქნება არ დაინახო ის, რომ დინამოელებმა განვლილ მატჩში უწინდელზე მეტი მონდომება გამოავლინეს. ფეხბურთელები მეტს მოძრაობდნენ, უფრო თავგამოდებითაც იბრძოდნენ, მაგრამ ის თამაში, ასე რომ მოველით ყველანი, ჯერ მაინც არ ჩანს. ცალკეული რგოლები, ცალკეული ფეხბურთელები ჯერ კიდევ რიგიანად ჭერ არიან ერთმანეთთან შეთამაშებულნი, ისევ შესამჩნევია ინდივიდუალური თამაშით ზედმეტი გატაცება (ყვანია, ფირცხალავა, კაკილაშვილი და სხვანი), ზოგიერთმა დინამოელმა თავის შესაძლებლობაზე აშკარად სუსტად ჩაატარა თამაში, ყველაფერი ამის შედეგად მხოლოდ დიდი გაჭირვებით, რის ვაინაჩრობით მოვიგეთ ეს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი.

ჩვენი გულშემატკივარი, ბუნებრივია, ინტერესით ადევნებდა თვალს გურამ აჯოევს, რომელმაც ამ დღეს პირველად ითამაშა თბილისის „დინამოში“. გ. აჯოევი თბილისელია, მაგრამ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზების გამო სხვა გუნდებში უხდებოდა თამაში. იგი მხოლოდ ახლა „შეამჩნიეს“ დინამოელთა მწვრთნელებმა და შუა სეზონში მიიწვიეს თავიანთ კოლექტივში. გ. აჯოევი უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელია, „ზენიტთან“ მატჩში მან გარკვეული დადებითი კომბინაციური და ტაქტიკური ელემენტები შეიტანა დინამოელთა თამაშში, ძნელიცაა ფეხბურთელს პირველივე მატჩში მოთხოვო სრულად გამოავლინოს მთელი თავისი შესაძლებლობანი და უშეცდომოდ იმოქმედოს ახალ პარტნიორებთან, მაგრამ ყველაფერი ეს დროთა ვითარებაში მოვა. გ. აჯოევს ამჯერად არაფერი დაუშურებია მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებაში.

თვით ეს მატჩი არც სანახობრივი თვალსაზრისით, არც სპორტული ღირსებებით და კვალიფიკაციით არ გამოირჩეოდა. საერთო ტერიტორიული უპირატესობა ორივე ტაიმში თბილისელებს ჰქონდათ, სტუმრების კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც შეიქმნა, მაგრამ, უნდა ვალიაროთ, თამაშში ქაოსი გაცილებით სჭარბობდა ნამდვილ საფეხბურთო ურთიერთგაგებას.

მატჩის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც შენგელიამ გაიტანა: 70-ე წუთზე ერთ-ერთი მცველის უხეში თამაშისთვის ზენიტელთა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, დინამოელებმა დარტყმა თავიანთ საუკეთესო ბომბარდირს მიანდეს, შენგელიამაც ზუსტად გაიტანა ის ბურთი, რომელიც ესოდენ საჭირო იყო ჩვენი გუნდისთვის.

„დინამო“ (სოხუმი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 1:2 (1:2).

სოხუმი. „დინამოს“ სტადიონი. 15 აგვისტო.

„დინამო“: ბენიძე, გოგოხია, ჩიხრაძე, თარბა (ქანთარია, 46), დოჩია (ხურცილავა, 46), ინალიშვილი, გუბაზი, ახვლედიანი, კვარაცხელია, ჩალიგავა (ციოანავა, 77), ხაგბა.

„მეტალისტი“: სივუხა, მახინია, კუზნეცოვი, პანჩიშინი, დერკაჩი, ივანოვი (ენეი, 46), ბურიაკი, ტალკო, იაკუბოვსკი (ბარანოვი, 46), ტარასოვი, მალიშენკო (იანოვსკი, 68).

მსაჯი გ. გალიკოვი (ლენინგრადი).

გააფრთხილეს პანჩიშინი და იაკუბოვსკი.

მერვედფინალის პირველი მატჩის შემდეგ სოხუმის „დინამო“ ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ხარკოვში განცდილი პირველი მარცხი „მეტალისტთან“, რომელიც წლევანდელ სეზონში თამაშობს ისე ძლიერად, როგორც არასდროს, თუ რეალური საფეხბურთო ენით ვილაპარაკებთ, თავისთავად წყვეტდა მომაღალი მეოთხედფინალისტის ვინობას, მაგრამ მანამ, როცა 30-8 წუთზე ნაგამ საკმაოდ შორტ მანძილიდან ქალიერად ადარტყა საჭირო და ბურთი ზუსტად გაგზავნა სივუხას კარში, თითქოს გაიელვა ოპტიმიზმის ნაპერწკალმა. მაგრამ გავიდა ზუსტად ამდენივე წუთი, სოხუმელთა მცველებმა წამით ღიად დატოვეს „მეტალისტის“ ყველაზე სახიფათო თავდამსხმელი ტარასოვი, მანაც მიიღო მარცხენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი და გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

ამის შემდეგ ბრძოლა მინდორზე არ შემწყდარა. სოხუმელმა ფეხბურთელებმა თავგამოდებით, მონდომებით ითამაშეს, მეტოქის კართან სახიფათო მომენტებიც შექმნეს, მაგრამ უმაღლესი ლიგის გუნდმა თავისი მაღალი კლასი მაინც ცხადყო და ბოლომდე მიიყვანა წარმატების საქმე — 2:1 (მეორე გოლიც ტარასოვმა გაიტანა).

• • •

ამრიგად, სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალში გავიდნენ შემდეგი გუნდები: **თბილისის „დინამო“** (მერვედფინალში ლენინგრადის „ზენიტთან“ 0:0 და 1:0), **ხარკოვის „მეტალისტი“** (სოხუმის „დინამოსთან“ 3:0 და 2:1), **დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“** (ერევნის „არარატთან“ 1:3 და 4:1), **მოსკოვის „ტორპედო“** (ცსკა-სთან 0:1 და 4:1), **ბაკოს „ნეფთჩი“** (კემეროვოს „კუზბასთან“ 5:1 და 0:1). მეოთხედფინალში გავიდა **მოსკოვის „სპარტაკიც“**, რომელმაც დონეცკის „შახტიორს“ მოუგო ორიგე მატჩი — 1:0 და 2:1.

მეოთხედფინალში გასვლისთვის ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ვილნიუსის „ჟალგირისი“ და ტაშკენტის „ფახთაქორი“, აგრეთვე, კიევის „დინამო“ და ვოლგოგრადის „როტორი“. ამ გუნდების შეხვედრები გაიმართება წლეულს, ხოლო სსრ კავშირის თასის ყველა მეოთხედფინალური მატჩი ჩატარდება გაზაფხულზე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

კვირას კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ და მოსკოვის დინამოელთა გუნდებს შორის (ეს შეხვედრა გადმოტანილი იყო 16 აპრილის ტურიდან).

მოსკოველმა ვასილიევმა მე-3 წუთზე გაიტანა გოლი, რომელმაც სტუმრებს გამარჯვება მოუტანა — 1:0.

გათამაშების ცხრილი

ეროვნული შემადგენლობანი ● მდგომარეობა 18 აგვისტოსთვის

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
1.	„სპარტაკი“ (მოსკოვი)	20	10	8	2	33-19	28	(—12)
2.	„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	20	10	5	5	25-13	25	(—15)
3.	„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	20	10	5	5	28-19	25	(—15)
4.	„ტორპედო“ (მოსკოვი)	20	7	9	4	19-13	23	(—17)
5.	„არარატი“ (ერევანი)	20	10	1	9	23-29	21	(—19)
6.	„მეტალისტი“ (ხარკოვი)	20	8	5	7	17-19	21	(—19)
7.	„შახტიორი“ (დონეცკი)	20	7	7	6	19-18	21	(—19)
8.	„დინამო“ (მოსკოვი)	21	6	9	6	15-17	21	(—21)
9.	„დინამო“ (კიევი)	19	7	6	6	23-13	20	(—18)
10.	„ნეფთჩი“ (ბაქო)	21	7	6	8	25-21	20	(—22)
11.	„დინამო“ (მინსკი)	20	7	5	8	21-20	19	(—21)
12.	„ქაირათი“ (ალმა-ათა)	20	7	3	10	16-25	17	(—23)
13.	ცსკა	19	5	5	9	17-24	15	(—23)
14.	„დინამო“ (თბილისი)	19	5	5	9	17-25	15	(—23)
15.	„ზენიტი“ (ლენინგრადი)	20	4	7	9	15-27	15	(—25)
16.	„ბურია“ (ლენინსკი)	19	3	6	10	9-20	12	(—26)

II ლიგა

განვლილ შაბათს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-18 ტურის მატჩები.

ახალ წარმატებას მიაღწია ზონის ლიდერმა სამტრედიის „ლოკომოტივმა“, რომელმაც ყაზახში ანგარიშით 2:1 დამარცხა ადგილობრივი „გოიასანი“.

გაიმარჯვა, აგრეთვე, თბილისის „ლევარდენი“-სპა-მ, მან აშხაბადში ანგარიშით 1:0 მოუგო ადგილობრივ „კოლხოზჩის“.

ტურის სხვა შედეგები: „ქიაფაზი“ (ქუთაისი) — „ლორი“ (ალავერდი) 3:1, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:1, „ვოსხოდი“ (სუმგაითი) — „დილა“ (გორი) 2:0, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „მეშახტე“ (ტყიბული) 4:2, „ოლიმპია“ (ლენინაკანი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 3:0.

გათამაშების ცხრილი
II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 18 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტ.“	18	13	4	1	29-7	30
„ქიაფაზი“	18	9	3	6	34-23	21
„დინამო“	16	8	5	3	28-15	21
„შევარ.“-სპა	18	8	3	7	33-23	19
„ვოსხოდი“	18	8	3	7	23-24	19
„ოლიმპია“	17	8	2	7	20-24	18
„ყარაბახი“	18	8	2	8	21-26	18
„კოლხეთი“	18	7	4	7	23-25	18
„ავტომობ.“	18	7	3	8	22-21	17
„სპარტაკი“	17	7	3	7	24-25	17
„მეტალურ.“	18	7	1	10	19-23	15
„მეშახტე“	18	6	3	9	17-25	15
„გოიასანი“	18	6	3	9	16-26	15
„კოლხოზჩი“	18	5	4	9	19-26	14
„დილა“	18	5	4	9	17-26	14
„ლორი“	18	6	1	11	14-20	13

ინგლისური ფეხბურთი — ხულიგნობის ბუდე!

15 აგვისტოს დაიწყო ინგლისის ახალი ჩემპიონატი ფეხბურთში და უკვე პირველივე ტურის შემდეგ აქაური გაზეთები მსხვილი შრიფტით იუწყებიან, რომ კვლავ ხდება უწესრიგობა, მაყურებელთა ხულიგნური გამოხდომები. გათამაშების დაწყების წინ ინგლისის საფეხბურთო ორგანიზატორები, კლუბების ხელმძღვანელები, სამართალდამცველი ორგანოები ფართო საზოგადოებრიობას აუწყებდნენ, რომ ქვეყნის სტადიონებზე წესრიგი დამყარდება, აღკვეთენ ხულიგან მაყურებელთა თავაშვებულ აქციებს, მაგრამ უკვე პირველი ტურის შემდეგ გაზეთები წერენ — „ავადმყოფობა ვანუკურნავია“, „იმედები გაგვიცრუვდა“ და ა. შ.

პირველ ტურში ქ. სკარბოროში შედგა ადგილობრივი და ვულვერჰემპტონის გუნდების მატჩი. ქალაქის გამგებლებმა ყველა პრევენტიულ ზომას მიმართეს, ორივე გუნდის ქომაგებისთვის ტრიბუნებზე ცალ-ცალკე გამოჰყვეს იზოლირებული ადგილები, რომლებიც ლითონის ბადეებით გადატიხრეს, ტიხრებს შუა კი პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები და დაგეშილი ძაღლები მორიგეობდნენ. მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა.

ჯერ კიდევ მაშინ, თამაშის დაწყებას რომ 30 წუთი აკლდა, ქ. ვულვერჰემპტონის გუნდის შეზარხოშებულმა გულშემატკივრებმა აყალმაყალი ატეხეს, ისინი მეტოქე გუნდის ქომაგებს ესროდნენ ბოთლებს, ყველაფერს, რაც კი ხელდ მოხვდებოდათ, შემდეგ გაარღვიეს ლითონის ღობეები, დაერიენენ ადგილობრივი გუნდის მომხრეებს და პოლიციელთა აქტიურობის მიუხედავად, შეუდგნენ სისხლისმღვრელ ანგარიშსწორებას.

აგზნებულ მაყურებლებს თხოვნით მიმართეს მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა, როგორც იქნა, შესაძლებელი გახდა თამაშის დაწყება, მაგრამ მატჩის დამთავრების შემდეგ ხულიგნებმა ,ჯერ კიდევ განაახლეს ბრძოლა, ბევრი მაყურებელი დაიჭრა, პოლიციამ მრავალი ხულიგანი დააპატიმრა.

ამრიგად, სეზონის გახსნის მატჩი სკანდალური ინციდენტით აღინიშნა. ეტყობა, ასე იოლი არაა ინგლისელ მაყურებლებში წესრიგის დამყარება, აქაური საფეხბურთო ბანდიტების წყალობით, ინგლისის კლუბებს ჯერ კიდევ არ მისცემენ უფლებას მონაწილეობა მიიღონ უეფა-ს შეჯიბრებებში.



170 ფეხბურთელის ხელმოწერით

ეს გაფიცვა, ალბათ, ერთადერთია ფეხბურთის ისტორიაში. ლისაბონში გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ 170-მა პროფესიონალმა ფეხბურთელმა ხელი მოაწერა განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი არასოდეს არ ითამაშებენ პორტუგალიის ნაკრებში.

შეხლა-შემოხლა ფეხბურთელებსა და ნაკრების მესვეურებს შორის ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, როცა მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ პორტუგალიის ნაკრებიდან 8 უძლიერესი მოთამაშე გარიცხეს. ნაკრების ხელმძღვანელთა მოწმობით, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ მათი ფინანსური მოთხოვნები არ დააკმაყოფილა იმის გამო, რომ ისინი მექსიკაში „სრული ძალით არ თამაშობდნენ“.

საინტერესოა, რომ გაფიცვაში მონაწილეობს სამივე წამყვანი კლუბის „პორტუს“, „ბენფიკასა“ და „სპორტინგის“ ყველა ფეხბურთელი.

ა. ზავაროვი — ივლისის საუკეთესო ფეხბურთელი

გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ გამოკითხვის შედეგებით ავლენს უმაღლესი ლიგის საუკეთესო ფეხბურთელს თვეების მიხედვით.

ივნისის საუკეთესო ფეხბურთელად გულშემატკივრებმა აღიარეს ვილნიუსის „ჟალგირისის“ თავდამსხმელი ა. ნარბეკოვასი, ივლისში კი უძლიერესად მიიჩნიეს კიევის დინამოელი ა. ზავაროვი.

I ლიგა

15 აგვისტოს რიგაში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ რიგის „დაუგავა“ და ოდესის „ჩერნომორეცი“ (ეს მატჩი გადმოტანილი იყო 25 მაისის ტურიდან).

თამაში დამთავრდა რიგელთა გამარჯვებით — 3:1. ეს ოდესის „ჩერნომორეცის“ პირველი დამარცხებაა წლევანდელ საკავშირო გათამაშებაში.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXVII ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის:

„კოლხეთი“ (ხობი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 3:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:0, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:2, „დინამო“ (ზუგდიდი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:1, „სულორი“ (ვანი) — „მადრევანი“ (წყალტუბო) 1:0, „ივერია“ (ხაშური) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0, „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 7:2, „დინამო“ (გაგრა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:0, „კახეთი“ (თელავი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:1, „არმაზი“ (მცხეთა) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1.

გამარჯვებით დაიწყეს

„საქართველოში უყვართ ფეხბურთი და მისი ყადრიც იციან, სწორედ ამიტომ გადაწყდა წლევანდელი ფინალური თამაშები „ტყავის ბურთის“ უფროსი ასაკის გუნდების მონაწილეობით აქ გაგვემართა“, — თქვა ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის არბიტრმა სემიონ სალამანმა ასპარეზობის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე. და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ზაფხულის არდადეგებია, თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის სტადიონზე საკმაოდ ბევრი მაყურებელი შეიკრიბა. ნორჩმა თბილისელმა ფეხბურთელებმაც, რომლებმაც მოლდაველ თანატოლებთან ითამაშეს თავიანთი პირველი მატჩი, არ გააწბილეს გულშემატკივრები. 6:2 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა თბილისის 170-ე საშუალო სკოლის გუნდმა. გოლები გაიტანეს გიორგი ოძელაშვილმა, დათო გიორგობიანმა (3), თემურ თოდუამ და ალექსანდრე იმნაძემ.

„ჩვენი გუნდი „შატილი“ 1982 წელს შეიქმნა, — თქვა გუნდის მწვრთნელმა გურამ ჩომახიძემ. — მას შემდეგ ყოველწლიურად ვმონაწილეობთ ქალაქისა და რესპუბლიკის პირველობებში, ოთხჯერ ვიყავით ქალაქის ჩემპიონები, ორჯერ — რესპუბლიკის მეორე პრიზიორი, წელს კი ჩემპიონები გავხდით. კარგად დავიწყეთ და ვეცდებით შემდგომშიც გავამართლოთ ჩვენი ეულშემატკივრების იმედები“.

ეს იყო ამ დღეს გამართული ბოლო შეხვედრა. მანამდე ტურნირის კალენდრით გათვალისწინებული სხვა შეხვედრები შედგა. აქვე უნდა ითქვას, რომ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად არ ჩამოვიდა ყირგიზეთის გუნდი და ამიტომ მეორე ქვეჯგუფში ექვსის ნაცვლად ხუთი კოლექტივი გამოვა. ამ ქვეჯგუფში თამაშობს საქართველოს **მეორე წარმომადგენელიც, გეგეჭკორის** რაიონის სოფელ დიდი ჭყონის საშუალო სკოლის გუნდი. გათამაშების პირველ მატჩში ისინი რუსეთის ფედერაციის მეხუთე გუნდს შეხვდნენ. მატჩის წინ ვესაუბრეთ გუნდის მწვრთნელს, სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს სოსო ჯეჯელავას: „ბიჭები დიდი ხანია ერთად თამაშობენ — მესამეოთხე კლასიდან. „ტყავის ბურთის“ პრიზის გათამაშებაშიც არა ვართ ახალბედები. სამჯერ მივიღეთ მონაწილეობა რესპუბლიკურ ფინალურ ტურნირებში. ერთხელ მეოთხე, შემდეგ კი მესამე ადგილი დავიკავეთ. წელს გუნდი საკმაოდ კარგად თამაშობს და იმედი გვაქვს, რომ საკავშირო ფინალურ ტურნირში არ შევრცხვებით. ჯერჯერობით კი ჩვენი მიზანია ქვეჯგუფში კარგად გამოსვლა“.

გუნდი რომ კარგადაა მომზადებული, ამაში პირველივე თამაშმა დაგვარწმუნა. „იმედმა“ (ასე ჰქვია ამ გუნდს) დამაჯერებლად დაამარცხა რუსეთის ფედერაციის მეხუთე გუნდი რომელიც ომსკის „ავანგარდის“ ნორჩი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. თამაშის დაწყებისთანავე გაშვებულმა გოლმა არ დააბნია გეგეჭკორელები, მათ შეძლეს თამაშის სადავეების ხელში ჩაგდება და საბოლოოდ დიდი განგარიშით გაიმარჯვეს — 6:3. „იმედის“ ფეხბურთელთაგან **ბურთები** გაიტანეს კახა ჯანაშიამ, გოჩა თოდუამ, ჯამლეთ ბეჭვაიამ (2); ბესო კაკულიამ და ჯიმშერ მარკოზიამ.

16 აგვისტოს კიდევ 9 შეხვედრა გაიმართა. გთავაზობთ მათ შედეგებს: უკრაინა-2 — მოსკოვი 7:3, რსფსრ-2 — თურქმენეთი 0:1, სომხეთი — ესტონეთი 4:1, უზბეკეთი — ლენინგრადი 2:0, ლიტვა — რსფსრ-4 3:0, უკრაინა-1 — სოფლის გუნდი (მოსკ. ოლქი) 1:2, ყაზახეთი — ტაჯიკეთი 7:0, ლატვია — ბელორუსია 0:5, რსფსრ-1 — აზერბაიჯანი 2:0.

• • •

გუშინ გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები: რსფსრ-5 — თურქმენეთი 1:0, მოსკოვი — რსფსრ-2 7:1, **უკრაინა-2 — საქართველო** — 2:5, რსფსრ-3 — მოლდაველი 3:0, **თბილისი — ესტონეთი 2:0**, უზბეკეთი — ლიტვა 0:2, ლენინგრადი — უკრაინა-1 1:3, რსფსრ-4 — მოსკოვის ოლქი 1:2, ყაზახეთი — ლატვია 4:2, ტაჯიკეთი — რსფსრ-1 0:10, ბელორუსია — აზერბაიჯანი 8:0.

ხვალ, 19 აგვისტოს ერთმანეთს ხვდებიან:

გ. დიმიტროვის სახ. სტადიონი

10.00 უკრაინა — რსფსრ-5
12.00 მოსკოვი — თურქმენეთი
18.00 საქართველო — რსფსრ-2

„ლოკომოტივის“ სტადიონი

10.00 მოლდაველი — სომხეთი
18.00 რსფსრ-3 — თბილისი

მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი

10.00 უზბეკეთი — რსფსრ-4
12.00 ლენინგრადი — მოსკოვის ოლქი
18.00 ლიტვა — უკრაინა-1

რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონი

10.00 ყაზახეთი — ბელორუსია
12.00 ტაჯიკეთი — აზერბაიჯანი
18.00 ლატვია — რსფსრ-1

გიორგი ქორქია,
ალეკო ჯიბლაძე.

ნაკრების უმადგენლობა ცნობილია

ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მედლები 4 კილომეტრზე გუნდური რბოლის მონაწილეებმა (გაითამაშეს. ჩემპიონის სახელი ლენინგრადელთა კვარტეტმა (ვიაჩესლავ ეკიმოვი, ალექსანდრე კრასნოვი, ვიქტორ მანაკოვი, სერგეი ხმელინინი) მოიპოვა. ამ გუნდის შედეგი — 4.09,930 ახალი მსოფლიო რეკორდია.

საკავშირო ჩემპიონატი ფაქტიურად ბოლო შეჯიბრება იყო მსოფლო პირველობის წინ, რომელიც 25-30 აგვისტოს ავსტრიაში ჩატარდება. საკავშირო სპორტსაბჭოს მთავარმა მწვრთნელმა ველოსპორტში ალექსანდრე კუზნეცოვმა დაასახელა ნაკრები გუნდის შემადგენლობა. ვიაჩესლავ ეკიმოვი, ალექსანდრე კრასნოვი, ვიქტორ მანაკოვი, სერგეი ხმელინინი, ოლეგ ბორონინი და გინტუტას უმარესი გუნდურ რბოლაში იასპარეზებენ. — უკმეოვი, უმარესი — ინდივიდუალურ არტურას კასპუტისი, ამავე დროს, 4-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაშიც გამოვლენ. ჰიტში ჩვენი ქვეყნის ღირსებას კონსტანტინე ხრაბცოვი (მოსკოვი) დაიცავს, ხოლო სპრინტში — ნიკოლოზ კოვში (მოსკოვი).

ქალთა სპრინტში იასპარეზებენ კიეველი ნატალია კრუშელნიცკაია, ტალინელი ერიკა სალუმაე და ლენინგრადელი გალინა ციარიოვა.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ საბჭოთა ველოსიპედისტებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს, რამდენიმე მსოფლიო რეკორდიც გაუუმჯობესეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. ალექსანდრე კუზნეცოვის აზრით ავსტრიის ბილიკებზე ძლიერი ველოსიპედისტები ეყოლებათ გდრ-ს, გფრ-ს, იტალიას, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიასა და ავსტრალიას.

მსოფლიო პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში

პირველად...

ფრანგები არასოდეს ყოფილან თანამედროვე ხუთჭიდში მოდის კანონმდებლები და, ცხადია, საერთაშორისო ასპარეზზე ვერც ჩემპიონებით იწონებდნენ თავს, მაგრამ აი, მათი ქვეყნის პატარა ქალაქ მულენის ტრასებზე, სადაც საიუბილეო XXX მსოფლიო პირველობა ჩატარდა, ხუთდღიანი ასპარეზობის შემდეგ ყველაზე მეტი ქულა — 5.462 მასპინძელ ყოელ ბუზუს აღმოაჩნდა და ოქროს მედალიც მან დაისაკუთრა. გუნდურ პირველობაში კი უძლიერესის სახელი უნგრეთის ნაკრებმა არ დაკარგა — 15.739.

მანამდე ყოელის უმაღლესი მიღწევა იყო 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მოპოვებული მესამე ადგილი. ამჯერად კი მან უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა.

თავდაპირველად როგორც პირადა, ისე გუნდურ პირველობაში წინ საბჭოთა სპორტსმენები იყვნენ, მაგრამ მათ მეოთხე სახეობაში (სროლა) წაიბორძიკეს და აქ კი უძლიერესში მხოლოდ ა. მაკეევი მოხვდა. შვარცის პირადი ლიდერობის დაკარგვის შემდეგ ჩვენმა გუნდმა უკან დაიხია და საბოლოოდ მეორე ადგილზე აღმოჩნდა, მესამე საპრიზო ადგილი ინგლისის ნაკრებმა დაიკავა.

პირად პირველობაში ვერცხლის მედალი ჩეხოსლოვაკიელ მილან კადლეცს ერგო — 5.454, ბრინჯაოსი — უნგრელ ლასლო ფაბიანს — 5421. შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონის, იტალიელი კარლო მასულოს შემდეგ 5392 ქულით მეხუთე ადგილი დაიკავა ა. ავდეევმა (სსრ კავშირი).

„სპორტპროგნოზი“

33-ე ტირაჟის შედეგები (15-16 აგვისტო)

1-1, 2-1, 3-1, 4-2, 5-1, 6-1, 7-2, 8-1, 9-2, 10-1, 11-1, 12-2, 13-2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.



სეულის ოთხმა წევრმა ჩლიანინ ქუთაისში გამართულ საკავშირო თასის გათამაშების ფინალურ ტურნირში ასპარეზი. თასის მფლობელებმა, ქუთაისის „მშენებლის“ რეგბისტებმა უმასპინძლეს ალმა-ათელ არმიელებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 13:6. კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი“ კიევში დამარცხდა „ავიატორთან“ — 0:14, მონინოს სსა — მოსკოვის — „სლავასთან“ — 6:15.

ამრიგად, სატურნირო ცხრილის სათავეში 56 ქულით კვლავ „მშენებელი“ მოექცა. მეორე ადგილზე მყოფ „ავიატორს“ ქულით ნაკლები აქვს. 54 ქულით მესამე ადგილზეა სსა.

„სპორტლოტო“

გუშინწინ შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 33-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: (ტრაკზე ველორბოლა), 13 (სამთო ხუთხილამურო სპორტი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 16 (საცხენოსნო სპორტი), 34 (ბალახის ჰოკეი), 44 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 17 (ცეგურაობა), 21 (ცურვა), 32 (ფიგურული ცეგურაობა), 35 (შაიბისა ჰოკეი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

ეკრანზე და ეთერში...

ცენტრალური ტელევიზია. 18 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); ევროპის ჩემპიონატი ცურვაში, წყალბურთში, წყალში ხტომასა და სინქრონულ ცურვაში — 15.15 (2) და 21.15 (2).

საქართველოს რადიო. 18 აგვისტო. ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. პირველი ლიგა — 22.00.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 20 აგვისტოს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

20-დან 23 აგვისტომდე თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება და ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში.

დასაწყისი 17 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

კვლავ მარცხი განიცადა თბილისის „ელმავალმა“. ჯერ მოსკოვში, ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩში დამარცხდა „ლოკომოტივთან“ — 0:22, შაბათს კი თბილისში VII-XII ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების შეჯიბრების სასტარტო შეხვედრა წააგო ტირასპოლის „ელექტრომაშთან“ — 6:17 (0:14).

ტირასპოლელებთან თამაშმა გვიჩვენა, რომ წარუმატებლობათა ხანგრძლივ სერიას ახალბედა გუნდისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. თუ პირველ შეხვედრებში „ელმავალი“ ენთუზიაზმითა და თავდადებით ნაწილობრივ მაინც ინაზღაურებდა ოსტატობის ნაკლებობას და ძლიერ გუნდებთან „საპატიო ანგარიშით“ მარცხდებოდა, ახლა ცხადი გახდა, რომ ამდენმა მარცხმა გამოუცდელ მოთამაშეებს გული გაუტეხა და ისინიც მთელი მონდომებით ვეღარ თამაშობენ. უფრო სწორად, თუ ძლიერ გუნდებთან შეხვედრებში „ელმავალს“, რომელმაც იცოდა, რომ მარცხს ვერ გადაურჩებოდა, ქულების დაკარგვის შიში არ ბოჭავდა და იგი ლაღად, ძალდაუტანებლად თამაშობდა, ახლა, როცა უმაღლეს ლიგაში დარჩენის სხვა მსურველებთან უწევს მეტოქეობა და მოგება ჰაერივით სჭირდება, გუნდს აშკარად არ ყოფნის არც ოსტატობა და არც რწმენა იმისა, რომ კონკურენტების დამარცხება შეუძლია. ტირასპოლელებთან შეხვედრაშიც „ელმავალი“ თავიდან ფრთხილად, ყოველგვარი აღმაფრენის გარეშე თამაშობდა, ხშირად უშვებდა ელემენტარულ შეცდომებს და უკვე 25-ე წუთისთვის სტუმრები 14 ქულით დაწინაურდნენ. ბუნებრივია, თამაშმა ინტერესი დაკარგა, სტუმრები მოეშვნენ, თბილისელები კი ცოტათი გათამამდნენ და შეხვედრის ბოლოს ანგარიშში სხვაობა შეამცირეს. ასე წაგო „ელმავალმა“ თავისი მეცხრე მატჩი.

! ამით შეგვეძლო დაგვესრულებინა თხრობა, ერთი ფრიად აღმაშფოთებელი გარემოება რომ არა. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, „ლელოს“ გამოსვლების შემდეგ „ლოკომოტივის“ სტადიონის დირექციამ უურად იღო რეგბისტთა მოთხოვნა და მათი მატჩები 8 აპრილიდან ტარდებოდა ამ სტადიონის ძირითად მოედანზე, რომელსაც საგანგებოდ რეგბისთვის აწყობდნენ. სტადიონის მუშაკებიც ყოველთვის დროულად ახერხებდნენ რეგბის მოედნის საფეხბურთოდ გაწყობას და პირიქით. ასე გაგრძელდა „ელმავალ“-„ელექტრომაშის“ შეხვედრამდე. ამ დღეს კი სტადიონზე მოსულ თბილისელ რეგბისტებს ელდა ეცათ: მოედანი ძველებურად, არასტანდარტულად დახაზული დაუხვდათ, რეგბის კარები კი—პირდაპირ ფეხბურთისაზე მიმაგრებული. ბევრჯერ გვითქვამს და გავიმეორებთ: ნორმალური სათამაშო პირობების მოთხოვნა ახირება არაა. გარდა იმისა, რომ ფეხბურთისკარიან მოედანზე რეგბის თამაში არაესთეტიკური და რეგბისტების თავმოყვარეობის შემლახველია, ამგვარად დახაზული მოედანი, სტანდარტულზე 14 მეტრით გრძელი და 2 მეტრით განიერი, მხოლოდ ტირასპოლელთა სწრაფ და ნავარჯიშებ გუნდს აძლევდა ხელს. „ლოკომოტივის“ სტადიონის მუშაკებს კი სწორედ ახლა, თბილისური რეგბის გასაჭირის ჟამს მიეძალათ სიზარმაცე თუ უსულგულობა და იმ საბაბით, რომ „ტყავის ბურთის“ ასპარეზობისათვის თითქოსდა ვერ მოასწრებდნენ ფეხბურთის მოედნის მოწყობას, გაჭირვებულს აღმართში ქვა მიაწიეს. თუმცა კი ადვილად შეეძლოთ კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება. სტადიონის მუშაკებს არც რეგბისტები ეტყოდნენ დახმარებაზე უარს: როგორც სხვა დროს, ახლაც თავად მოაწყობდნენ მოედანს რეგბის სათამაშოდ.

ზაალ ბიბინეიშვილი.

* * *

დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მედლებისათვის მებრძოლი ექვსი უძლიერესი გუნდის ტურნირიც. როგორც იცით, ამ ექვ-

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07104